



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N18

ქ. ლანჩხუთი

17.11.2016 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო მიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მედიის წარმომადგენლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ განმარტა, რომ რიგგარეშე სხდომის ფორმატში საკრებულოს სხდომა მოწვეულ იქნა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინადადების საფუძველზე. დღის წესრიგის პროექტში შეტანილია ორი საკითხი, რომლის დროული განხილვა მნიშვნელოვანია, რადგან აუთვისებელი არ დარჩეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ეკონომიით დარჩენილი თანხები, ასევე მოხდეს ცვლილებების ასახვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რათა ფინანსური უზრუნველყოფა გარანტირებული იყოს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

2. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის 2016 წელს საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებიდან მიღებული ეკონომიის თანხების განაწილების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის გამგებთან შემოვიდა ორი წერილი: პირველი დათარიღებულია 26 ოქტომბრით, ხოლო მეორე წერილი 15 ნოემბრით. საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილული იქნა 26 ოქტომბერს შემოსული დოკუმენტი, იგი დაინტერესდა, თუ რომელი დოკუმენტი განიხილება საკრებულოს სხდომაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** განმარტა, რომ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის გამგებთან შემოვიდა განმარტებითი ბარათი, რომლის დეტალური განხილვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე მოხდა. დოკუმენტში ძირითადი საკითხები უცვლელი დარჩა, შესწორებულ იქნა რამდენიმე საკითხი, რის გამოც მოწვეულ იქნა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელზეც გაიმართება მსჯელობა წარმოდგენილ დოკუმენტში ცვლილებებთან დაკავშირებით.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ელემენტალურად კანონის პატივისცემაზეა საუბარი. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შეკრება მოხდა წინა დღით, ასევე საკრებულოს ბიუროს სხდომაზე შეთანხმდნენ, რომ მსჯელობა იქნებოდა პირველად მოწოდებულ საკითხზე. გამოდის, რომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო სხვა დოკუმენტზე და დღეს საკრებულო განიხილავს სხვა საკითხს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძემ** საკრებულოს სხდომა დატოვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე : „მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტის 10 თვის ანალიზის საფუძველზე მიზანშეწონილია შემცირდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა ხარჯების მუხლი 26300 ლარი და შემცირების ხარჯზე 11300 ლარით გაიზარდოს საკრებულოს შტატგარეშე მუშაკების ხელფასის ფონდი, ხოლო 15000 ლარი მიიმართოს გარე განათების ელექტრო ღირებულების დასაფინანსებლად. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ტრანსპორტის ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის მომსახურების მუხლის 10000 ლარის შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა 10000 ლარით. გამგეობის ხელფასის ფონდის 15500 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 6500 ლარით და საექსპერტო მომსახურების ხარჯის დაფინანსებისთვის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 9000 ლარით. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის 3500 ლარის და სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამის 1500 ლარის შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს ბიკარბონატული ჰემოდიალიზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა 5000 ლარით. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის N964 განკარგულებით სტიქის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი 850000 ლარიდან, საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა - შენახვის არაფინანსური აქტივების ხარჯის 23000 ლარის ეკონომიის ხარჯზე, გაიზარდოს ბინათმშენებლობის დაფინანსების მიზნით სხვა ხარჯების მუხლი 23 000 ლარით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მოედანში მცხოვრებ ნოდარ სარიშვილს ხანძრის შედეგად მთლიანად დაეწვა საცხოვრებელი სახლი და ოჯახი ფაქტობრივად ღია ცის ქვეშ დარჩა. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს, როლანდ ლაშხიას, მუნიციპალიტეტის გამგებელს, ზაზა ურუშაძეს სხდომის დასრულებამდე საკრებულოს შიდა ხარჯებიდან გამოენახათ 5000 ლარი, რათა დახმარება გაეწიათ დაზარალებული ოჯახისთვის. მან იქვე დასძინა, რომ 2017 წლის ბიუჯეტში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული თანხები მსგავსი შემთხვევების დროს მოსახლეობისთვის დახმარების აღმოსაჩენად.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძემ** გულისტკივილი გამოთქვა, რომ ქვეყნის მასშტაბით არ მოიძებნება ანალოგი, როდესაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ავტომობილი ასეთ გაუმართავ მდგომარეობაშია (ავტომობილით

გადაადგილება ფაქტობრივად შეუძლებელია). ამის შესახებ დეპუტატმა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზეც ისაუბრა. მან ასევე დააყენა წინადადება, რომ საკრებულოს შიდა ხარჯს 26000 ლარს დაემატოს დარჩენილი 17000 ლარი (საკრებულოს ხარჯი) და ეს თანხები მიიმართოს სოციალური დახმარებების კუთხით.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ საკრებულოს შიდა ხარჯებს 17000 ლარი ვერ დაემატება, რადგან წლის ბოლომდე დარჩენილია კიდევ 2 თვე და გასაწევია სხვა ხარჯები.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ იგი მიესალმება წამოყენებულ ინიციატივას, მაგრამ ხანძრის შედეგად ქ. ლანჩხუთშიც რამდენიმე ოჯახი სახლის გარეშე დარჩა და მათ არავინ დახმარებია. მისი თქმით, რომელიმე კონკრეტული ოჯახის გამორჩევა არ უნდა მოხდეს, დახმარება ყველასთვის თანაბრად უნდა განაწილდეს.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, პროცესი საიდანაც უნდა დაიწყოს. იგი დაეთანხმა დეპუტატს, რომ გამორჩევა არ უნდა მოხდეს და დახმარება აბსოლუტურად ყველა ოჯახს უნდა გაეწიოს.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთში მცხოვრებ დარეჯან მანაგაძეს დაეწვა სახლი, რომელსაც გამგეობამ დახმარება აღმოუჩინა. მან მადლობა გადაუხადა დახმარებისთვის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებას. დეპუტატი მიესალმა წამოყენებულ ინიციატივას და აღნიშნა, რომ უმჯობესია ფულადი სახსრები სწორედ ამგვარი მიზნით დაიხარჯოს, ამასთან დახმარება ყველა დაზარალებულმა თანაბრად უნდა მიიღოს.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულდა დაზარალებული ოჯახისთვის დამწვარი სახლის გადახურვა, რომელიც 1000 ლარი დაუჯდა მუნიციპალიტეტს. ინიციატივა, რომ მსგავსი შემთხვევის დროს მუნიციპალიტეტი დაზარალებულ მოქალაქეს 5000 ლარით დაეხმაროს, შექმნის გარკვეულ უხერხულობას.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** დააყენა წინადადება, შესწავლილ იქნას ყველა მსგავსი უბედური შემთხვევა და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად დადგინდეს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს რა ფინანსური დახმარების გაწევის საშუალება აქვს.

დეპუტატმა **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ მსგავს სიტუაციაში მყოფი ოჯახებისთვის 1000 და 1500 ლარით დახმარება ვერანაირ შვებას ვერ მისცემს. მათ უნდა გაეწიოთ მინიმუმ 5000 -ლარიანი დახმარება, ხოლო დახმარების ფინანსური სახსრები გათვალისწინებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში.

დეპუტატმა **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ ანალოგიური ფაქტი მოხდა ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც ექიმს დაეწვა სახლი და ოჯახი ფაქტობრივად ღია ცის ქვეშ დარჩა. დეპუტატის თქმით, დაუშვებელია შერჩევითობის პრინციპით ოჯახებისთვის დახმარების გაწევა, ყველა ოჯახს დახმარება თანაბრად უნდა გაუნაწილდეთ.

დეპუტატმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში ხანძრის შედეგად დაზარალებულ ნოდარ სარიშვილს დახმარების თაობაზე არავისთვის არ მიუმართავს. დეპუტატი მიესალმება ამ ინიციატივას. იგი მომხრეა ამგვარ სიტუაციაში აღმოჩენილი ოჯახებისთვის თანხების გადანაწილება თანაბრად მოხდეს.

დეპუტატმა **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში მოქმედებს ქირავნობის პროგრამა. ღია ცის ქვეშ არცერთი ადამიანი არ დარჩება. დეპუტატის თქმით, მისი ცხოვრების მთავარი პრინციპია სამართლიანობა. იმისთვის, რომ საზოგადოებაში ამ ფაქტმა გარკვეული ვნებათაღელვა არ გამოიწვიოს, ყველა დაზარალებულს თანხები უნდა დაუნაწილდეს თანაბრად.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ იგი მიესალმება მსგავს მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა დამხარებას. მან ასევე აღნიშნა, რომ არაერთხელ დააყენა საკითხი სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ვასილ გოგუაძის სახლის შესახებ, რომელიც სტიქიის დროს დაინგრა და ესაჭიროება აღდგენა, მაგრამ აქამდე მისთვის დახმარება არავის აღმოუჩენია. დეპუტატის აზრით, საკრებულოს ხარჯების ნაწილი უნდა განკარგოს საკრებულომ მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შეთანხმებით. საკრებულოში შემოსულია რიგი საკითხებისა, რომელიც მხარდაჭერას საჭიროებს, მაგრამ გარკვეულ საკითხებს იგი არ ეთანხმება. დეპუტატმა აღნიშნა, რომ არაერთხელ დააყენა საკრებულოს თავმჯდომარის ავტომობილის შესახებ საკითხი, რომლის შექმნა დღემდე არ მომხდარა. ასევე, არაერთხელ დააყენა საკითხი პრემიების შესახებ, რომელიც ყველა მუნიციპალიტეტში გაიცა. მისი აზრით, თუ თანამშრომელი კარგად ასრულებს თავის უფლებას-მოვალეობას, იგი აუცილებლად უნდა წახალისდეს.

დეპუტატმა **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება პრემიებისთვის გამოსაყოფი თანხები მიიმართოს უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ხანძრის შედეგად დაზარალდა ერთი ოჯახი, რომელსაც მუნიციპალიტეტმა შეძლებისდაგვარად გარკვეული დახმარება გაუწია. იგი იცნობს ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახის პრობლემას. დახმარების პროცესი უნდა დაიწყოს აღნიშნული ოჯახისგან და მომავალი წლის ბიუჯეტში მსგავსი ტიპის შემთხვევებზე გათვალისწინებული უნდა იყოს თანხები.

დეპუტატმა **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ არის ოჯახები, რომლებსაც სახლის გადახურვაშიც არავინ დახმარებია და შესაბამისად, არც ფულადი დახმარება გაუწევია.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ უბედური შემთვევის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის გამორჩევა არ უნდა მოხდეს, რაც მოქალაქეების გაკრვეულ უკმაყოფილებას გამოიწვევს. უმჯობესია, მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი თანხები. გამოიცა საქართველოს პრემიერ მინისტრის განკარგულება, რომელიც მუნიციპალიტეტებს გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით პრემიების გაცემისკენ თავშეკავებას გულისხმობს. მისი თქმით, პრემიის წინააღმდეგი არავინ არ არის, მაგრამ პრემია უნდა გაიცეს იმ შემთხვევაში, როდესაც მუნიციპალიტეტში ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მოგვარდება.

დეპუტატმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, რომან ბიწაძის აღელვება და მის მიერ სხდომის დარბაზის დატოვება არ იყო უსაფუძვლო. იგი ეთანხმება იმ საკითხს, რომ თავდაპირველად წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, საკრებულოს ბიურომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 9000 ლარზე, ის რაც საკრებულოს შიდა ხარჯებიდან უნდა განხორციელებულიყო, ამის შემდგომ მას დაემატა კიდევ შტატგარეშე მოსამსახურეების ხარჯები 11300 ლარი, მაშინ როცა არაერთხელ დაისვა საკითხი, რომ საკრებულოს ესაჭიროება 2000 ლარის ღირებულების ქსეროქსი, მაგრამ მისი შეძენა დღემდე ვერ მოხერხდა. დეპუტატის აზრით, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (რომლის ყველა წევრი დარბაზში იმყოფება)მხარს უჭერს ამ საკითხს იმ შემთხვევაში, თუ სოციალური დახმარების მუხლი კიდევ 10 000 ლარით გაიზრდება.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** კითხვით მიმართა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილს, მისი მოსაზრებით, უკანონო იყო თუ არა აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე სარიშვილმა** უპასუხა, რომ წარმოდგენილი საკითხი უკანონოდ არ განიხილება, მაგრამ ყველა იურიდიული პროცედურა, რომელიც ამა თუ იმ საკითხის განხილვას ჭირდება, სრულად არ იყო დაცული.

გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყება იმთავითვე მოიცავს საკითხის საჯარო განხილვას, აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სხდომა არის გახსნილი და ყველას აქვს თავისი მოსაზრებების გამოხატვის საშუალება. ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე, ვიდრე საკრებულო ნორმატიულ აქტის სახით დადგენილებას მიიღებს, არის სამუშაო პროცესი და იგი ყველასთვის ღიაა. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ წარმოადგინა ცვლილებების პაკეტი, რომელიც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაზე იქნა განხილული. სწორედ აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით არსებობს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ფორმატი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის განხილვა სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ერთჯერადი დახმარების დაფინანსების გაზრდის წინააღმდეგი არავინ არ არის. ერთჯერადი დახმარებას მუნიციპალიტეტი გასცემს გამგებლის რწმუნებულის ან სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა გადაუდებელი აუცილებლობის გამო, განკარგულების საფუძველზე გაიცა ერთჯერადი დახმარება, რომლის უფლებაც კანონით აქვს მინიჭებული.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** მიმართა სხდომის თავმჯდომარეს, რომ საკრებულოს დარჩენილი შიდა ხარჯებისთვის გათვალისწინებული ყველა თანხა მიმართოს სოციალური დახმარებების კუთხით. მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლები ოცნებობენ თავიანთი შრომის დაფასებაზე. დეპუტატი თვლის, რომ თანამშრომელი, რომელიც ჯეროვნად ასრულებს თავის უფლება-მოვალეობას, აუცილებლად იმსახურებს პრემიის მიღებას.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ არა მარტო მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლები ოცნებობენ პრემიაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოში უკვე დიდი ხანია ინტერნეტ-მიწოდების პრობლემაა, რაც სამუშაო პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ ეს პრობლემა დროულად იქნას მოგვარებული.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ინტერნეტის საკითხი დროში გაიწეა, კერძოდ ვერ მოგვარდა იურიდიული მხარე. ტენდერის გამოცხადება შესყიდვების სააგენტოსთან აქამდე ვერ შედგა. საკითხი უკვე გადაწყვეტილია, 9000 ლარი გამოყოფილია და უახლოეს პერიოდში ინტერნეტ-მოწოდების პრობლემა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში არ იქნება. გამგებელმა ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოსთვის ქსეროქსის აპარატის ყიდვის წინააღმდეგი ის არასდროს ყოფილა.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ 2016 წლის ბიუჯეტში ჯიხეთის დედათა მონასტრის საპროექტო სამუშაოებისთვის გამოყოფილი იყო 55 000 ათასი ლარი, საპროექტო სამუშაოები კი არ შესრულებულა. იგი დაინტერესდა, იყო თუ არა ეს გარდამავალი პროექტი და გათვალისწინებული იქნებოდა თუ არა მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტში.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება 2016 ვერ მოხერხდა. იგი აუცილებლად გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, დაეფიქსირებინა, თუ როგორია მისი პოზიცია უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების გაცემის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ მსგავსი კატეგორიის ოჯახებისთვის დახმარების გაცემა აუცილებელია. ის მომხრეა, რათა ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის დახმარების გაცემა ყველასთვის მოხდეს თანაბრად, გარდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისა.

დეპუტატი **ალექსანდრე მახათაძე** დაინტერესდა, საბოლოოდ სოციალური დახმარების კუთხით რა თანხა იქნებოდა გათვალისწინებული.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ ამ საკითხს კენჭი ეყრება შემდეგი სახით: სოციალური დახმარების მუხლს საკრებულოს შიდა ხარჯებიდან კიდევ დაემატოს 10 000 ლარი, რაც ჯამში შეადგენს 20 000 ლარს.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 25 დეპუტატი , წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N27 (17.11. 2016 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის 2016 წელს საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებიდან მიღებული ეკონომიის თანხების განაწილების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ მოხდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის 2016 წელს საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებიდან მიღებული ეკონომიების, ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულების მიხედვით გადანაწილება, რომელიც დანართის სახით თითოეულ დეპუტატს წარმოდგენილი აქვს.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ეკონომიით დარჩა 2477 ლარი. მან მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ იგი დაპირდა შუხუთის სკოლის ეზოს შემოღობვას. დეპუტატის თქმით, თუ აღნიშნულ სამუშაოს უშუალოდ სოფლის მოსახლეობა შეასრულებს, მნიშვნელოვანი ეკონომია გაკეთდება, თანაც მოხდება ადგილობრივი მაცხოვრებლების დასაქმება. ასევე დეპუტატმა აღნიშნა, რომ მიუხედავად მისი მოთხოვნისა, შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რამდენიმე ადგილზე გარე განათების ნათურები ჯერ კიდევ არ არის დამონტაჟებული.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათების 22 ნათურა უკვე მიტანილია, დარჩენილი 8 ნათურაც უახლოეს დღეებში მიეწოდება დანიშნულების ადგილზე.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გამოგზავნილი სატელეფონო შეტყობინებით მიიღო ინფორმაცია, რომ დასრულდა ქ. ლანჩხუთში მუსხელიშვილის ქუჩის სარეალიზაციო სამუშაოები, მაშინ როცა აღნიშნული ქუჩის დაახლოებით 100 მეტრიანი მონაკვეთი არ გაკეთებულა. დეპუტატის თქმით, სავაჭრო ცენტრ „იმერეთის“ გვერდით მოედანზე დაიგო ასფალტის საფარი გარკვეულ მონაკვეთზე.

მიმდებარე მაღაზიების წინ არ გაკეთებულა ხელოვნური შემაღლება, რომელიც მაღაზიების წინ წყლის დაგროვებას შეაფერხებს.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ ნიგოთის, სუფსის და აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე იმ შენობებში, რომლებშიც საარჩევნო უბნები იყო განთავსებული, პანდუსების მოსაწყობად არ უნდა მომხდარიყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანხის გამოყენება, არამედ მათი მოწყობა უნდა უზრუნველყო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.


სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N73 (17.11.2016 წელი).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო